- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 1 მაისი

თბილისი, საქართველო

1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა

სს „საქართველოს უძრავი ქონება“ წარმოადგენს სს „საქართველოს კაპიტალის“ ჯგუფის წევრ კომპანიას, რომელიც სრულად იზიარებს მშობელი კომპანიის ეთიკის კოდექსს და ბაზარზე ოპერირებს მისი მმართველობის ქვეშ.

სს „საქართველოს უძრავი ქონება“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2006 წლის 27 სექტემბერს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია ნომრით 204517399. კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქუჩა №10, 0177, თბილისი, საქართველო. 2019 წელს სს „მ² უძრავ ქონებას“ სახელი გადაერქვა და ეწოდა „საქართველოს უძრავი ქონება“, შესაბამისად, სახელწოდებები „მ²“ და „საქართველოს უძრავი ქონება“ ამ ანგარიშში ურთიერთშენაცვლებადია. კომპანია ფლობს 14 შვილობილ კომპანიას. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საცხოვრებელი ბინების განვითარება და გაყიდვა და სტუმართმასპინძლობის ბიზნესი.

სს „საქართველოს კაპიტალი“ არის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი, ხოლო სს „საქართველოს კაპიტალის“ საბოლოო მესაკუთრე არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „Georgia Capital“ PLC, რომლის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში ივაჭრება. ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ჯგუფი დაყოფილია ბიზნეს ერთეულებად თავისი პროდუქტებისა და მომსახურებების მიხედვით და აქვს შემდეგი ორი სეგმენტი, რომელთა ანგარიშგებასაც ამზადებს, ესენია:

- ▶ **საცხოვრებელი უძრავი ქონების მშენებლობის განვითარება** - ეს სეგმენტი გულისხმობს კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი ბინების შეთავაზებას და ასევე მოიცავს საერთო მოხმარების ფართის მოვლას, საკუთარ საცხოვრებელ კომპლექსებში დასუფთავების, უსაფრთხოების და სხვა მომსახურების მიწოდებით;
- ▶ **სტუმართმასპინძლობის ბიზნესი** - რომელიც მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასტუმროებს.

1.1. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესის მიმოხილვა

სს „საქართველოს უძრავი ქონების“ საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესი (მ²) წამყვანი დეველოპერია 3.6 მილიარდიანი აშშ დოლარის ღირებულების ბაზარზე თავისი ბიზნეს მიმართულებებით: საცხოვრებელი კორპუსების განვითარება და გაყიდვა, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის და კომფორტული საცხოვრებლის შეთავაზებას;

გასული ათწლეულის განმავლობაში, მ² დამკვიდრდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და სანდო საცხოვრებელი ბინების ბრენდი ქვეყანაში.

სს „საქართველოს უძრავი ქონების“ საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესი სარგებლობს შემდეგი კონკურენტული სიძლიერით:

- ▶ ფასწარმოქმნის უნარი - მ²-ის ბრენდის ბინები შესაძლებელია სხვა ბრენდის ბინებზე უფრო მაღალ ფასად გაიყიდოს. მ²-ს აქვს ქონების განვითარების (დეველოპმენტის) კომპეტენცია, რომელსაც კომპანია იყენებს დაგეგმარებისა და პროექტირების ეტაპებზე ეფექტიანობის მისაღწევად, რის შედეგადაც მომხმარებელი გაცილებით მეტ სარგებელს იღებს მ²-ის ბინის შეძენისას, კონკურენტებთან შედარებით;
- ▶ გაყიდვები - მ² გამოირჩევა წარმატებული გაყიდვების სტრატეგიით, რაც მისი გაყიდვების თავდადებული გუნდისა და ფინანსებზე წვდომის დამსახურებაა. წინასწარი გაყიდვების შედეგად, მცირდება პროექტების დასაფინანსებლად საჭირო კაპიტალი და მ²-ის პროექტების რისკიანობა, რაც როგორც მომხმარებლის, ასევე ინვესტორის სანდოობას იწვევს.
- ▶ განხორციელება - მ²-ს პროექტების დროულად და ბიუჯეტის შესაბამისად დასრულების შესანიშნავი გამოცდილება აქვს. კომპანია მართავს მთლიან პროცესს განვითარებით და მშენებლობით დაწყებული, ბინების გადაცემით და ქონების მართვის მომსახურების გაწევით დამთავრებული.
- ▶ როგორც საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერი, მ²-ის სამიზნეს საშუალო და მაღალი ფენის მომხმარებელი წარმოადგენს, რომლებსაც კომპანია კარგად განვითარებული ფილიალების ქსელისა და გაყიდვების ძლიერი გუნდის მეშვეობით, მისაღებ ფასად სთავაზობს მაღალ ხარისხს და კომფორტულ საცხოვრებელ სტანდარტებს საქართველოში. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესმა წარმატებით დაასრულა ჩვიდმეტი საცხოვრებელი სახლის პროექტი, სულ 6,348 დასრულებული ბინა, რომელთა 99% გაყიდულია. კომპანიას აქვს 7 მიმდინარე სამშენებლო პროექტი ამ ანგარიშგების თარიღისათვის. ამჟამად კომპანია ორიენტირებულია მ²-ის ბრენდის ქვეშ ახალი, ენერგო-ეფექტური, გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე პროექტების განხორციელებაზე, და შეაქვს წვლილი ქალაქის სწორ ურბანულ განვითარებაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს მიმდინარე და დასრულებულ პროექტებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პროექტის სახელი	მთლიანი კვ.მ	ბინების		გაყიდული	
		რაოდენობა	ბინების კვ.მ	რაოდენობა	მთლიანი წილიდან გაყიდული %
დასრულებული პროექტები	443,778	6,348	440,545	6,310	99%
1 m ² ჩუბინაშვილზე	9,366	123	9,366	123	100%
2 m ² თამარაშვილზე	40,717	525	40,717	525	100%
3 m ² ყაზბეგზე	21,937	295	21,937	295	100%
4 m ² ნუცუბიძეზე	15,757	221	15,757	221	100%
5 m ² იპოდრომთან	21,499	270	21,499	270	100%
6 ოპტიმა ისანი	15,053	238	15,053	238	100%
7 სქაილან რეზიდენსი	3,989	19	3,989	19	100%
8 m ² იპოდრომთან II	58,443	801	58,443	801	100%
9 m ² ჭავჭავაძეზე	7,291	82	7,291	82	100%
10 m ² ყაზბეგზე II	27,564	302	27,564	302	100%
11 m ² მელიქიშვილზე	2,527	16	2,527	16	100%
12 m ³ საბურთალო (I ფაზა)	22,089	391	22,089	391	100%
13 m ³ საბურთალო (II ფაზა)	38,523	560	38,481	559	100%
14 m ³ საბურთალო (III ფაზა)	64,948	976	63,260	959	98%
15 m ² ნუცუბიძეზე II (კორპუსი II-III)	4,035	62	4,035	62	100%
16 m ² მირცხულავაზე (კორპუსი I-VIII)	50,612	804	50,203	799	99%
17 m ² ჭყონდიდელზე (კორპუსი I-XI)	39,428	663	38,335	648	98%
მიმდინარე პროექტები	165,016	2,049	113,995	1,585	77%
19 m ³ საბურთალო (IV ფაზა)	41,852	422	22,818	250	59%
20 m ³ საბურთალო (V ფაზა)	7,320	96	5,555	72	75%
21 m ³ საბურთალო (VI ფაზა)	11,825	165	6,648	95	58%
22 m ² მთაწმინდის პარკთან	24,251	190	10,600	87	46%
23 m ² ნუცუბიძეზე II (კორპუსი I)	24,097	349	22,430	334	96%
24 m ² მირცხულავაზე (კორპუსი IX-X)	44,262	670	36,301	603	90%
20 m ² ჭყონდიდელზე (კორპუსი XII)	11,408	157	9,642	144	92%
ჯამი	608,794	8,397	554,539	7,895	94%

2024 წელს საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესმა გაყიდა ბინები საერთო ფართობით 33,985 კვ.მ.

m³ საბურთალო არის ჯგუფის მიმდინარე დეველოპერული პროექტი, რომელიც დაგეგმილია, რომ განხორციელდეს ექვს ეტაპად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 158,850 კვ.მ. ფართობია გაყიდული, რაც წარმოადგენს მთლიანი ფართობის 85%-ს.

2020 წლის მეორე კვარტალში ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება თბილისის მუნიციპალიტეტთან და პრობლემურ საბინაო დეველოპერებთან. აღნიშნული გარიგების პირობების თანახმად, ჯგუფმა იკისრა სახელშეკრულებო ვალდებულება, დაასრულოს „სვეტის“ ბინების მშენებლობა და გადასცეს ისინი „სვეტის“ თავდაპირველ მომხმარებლებს. „სვეტის“ პროექტებია: m² ნუცუბიძეზე II; m² მირცხულავაზე; m² ჭყონდიდელზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სვეტის“ პროექტებზე 160,946 კვ.მ. ფართობია გაყიდული, რაც წარმოადგენს მთლიანი ფართობის 93%-ს.

2024 წელს ჯგუფმა დაასრულა მიწის ნაკვეთის გაცვლის ტრანზაქცია. ახალი მიწის ნაკვეთი ჯგუფმა მოიპოვა სახელმწიფოსგან, თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, და სახელმწიფოსათვის გადაცემულ მიწაზე საინვესტიციო ვალდებულების აღების სანაცვლოდ. მიღებული ნაკვეთი კლასიფიცირდა როგორც საინვესტიციო ქონება, გამომდინარე იქიდან, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფს არ ჰქონდა წამოწყებული დეველოპერული საქმიანობა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. ტრანზაქციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯგუფის საინვესტიციო ქონებების ჯამური ღირებულება 29 მილიონ დოლარამდე (2023 წ.: 20 მილიონი დოლარი), აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაფასებიდან მიღებულმა მოგებამ კი 10.7 მილიონი ლარი შეადგინა.

1.2. სტუმართმასპინძლობის ბიზნესის მიმოხილვა

სს „საქართველოს უძრავი ქონება“ მართავს უძრავი ქონების პორტფელს, რომლის უდიდეს ნაწილსაც წარმოადგენს ოპერირებადი და მშენებლობის ეტაპზე მყოფი სასტუმროები და მიწები.

კომერციული უძრავი ქონება

2020 წელს ჯგუფმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ დატოვოს კომერციული უძრავი ქონებისა და სტუმარ-მასპინძლობის ბიზნესი, ჯგუფისთვის ძირითადი ბიზნეს-მიმართულება იქნება დეველოპერული სექტორი და ამ მხრივ კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციას ბაზარზე.

სასტუმროების სეგმენტი

2020 წელს ჯგუფმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ დატოვოს სტუმარ-მასპინძლობის ბიზნესი და 2023 წელს წარმატებით გაყიდა დამთავრებული/მშენებარე სასტუმროების დიდი ნაწილი. კომპანიამ 2023 წელს გაყიდა ორი მოქმედი სასტუმრო, რომელიც ოპერირებდა საერთაშორისო ბრენდის Ramada-ს ქვეშ. პირველი საერთაშორისო ბრენდის 152-ოთახიანი სასტუმრო Ramada Encore, რომელიც მდებარეობს თბილისში, ყაზბეგის გამზირზე და რომელიც 2018 წელს გაიხსნა. მეორე 4-ვარსკვლავიანი ბიზნეს კლასის სასტუმრო Ramada Melikishvili ამოქმედდა 2022 წელს. მოქმედი სასტუმროების გარდა, კომპანიამ 2023 წელს წარმატებით გაყიდა მშენებარე ეტაპზე მყოფი სასტუმროები. 2024 წლის დასაწყისში ჯგუფმა წარმატებით გაასხვისა 2.3 მილიონი დოლარის ღირებულების საინვესტიციო უძრავი ქონება, კერძოდ, 1 დაუსრულებელი სასტუმრო და 4,529 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

კომპანიას სასტუმროების ბიზნესში მიმდინარედ აქვს ერთი ოპერირებადი სასტუმრო, "Gudauri Lodge", რომელიც 2019 წლის დეკემბერში გაიხსნა. სასტუმრო მდებარეობს წამყვან სათხილამურო კურორტ გუდაურში, სათხილამურო ტრასის ფერდობზე. სასტუმრო მოიცავს 121 ნომერს კავკასიონის მთების ულამაზესი ხედებით.

2024 წელს საინვესტიციო და მშენებარე საინვესტიციო ქონების (გარდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთისა) გადაფასებიდან მიღებულმა მოგებამ 640 ლარი შეადგინა (2023 წ.: ზარალი გადაფასებიდან 3.6 მილიონი ლარი).

1.3. ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა

სს საქართველოს უძრავი ქონება	მოგების მარჟა დეველოპერულ- ი საქმიანობი- დან	მოგების მარჟა საიჯარო საქმიანობიდან	მოგების მარჟა ქონების მართვიდან	ლიკვიდურო- ბის კოეფიციენ- ტი	ფინანსური ხარჯის ცვლილება
კონსოლიდირებული	1%	90%	-22%	1.10	12%
ინდივიდუალური	-	-	-	0.03	9%

2024 წელს ჯგუფის საერთო მოგების მარჟამ დეველოპერული საქმიანობიდან 1% შეადგინა, დეველოპმენტიდან მიღებული შემოსავალი კი შემცირდა 16%-ით წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებულია გასაყიდი ბინების რაოდენობის შემცირებით. 2024 წელს ხელმისაწვდომი ბინების რაოდენობა არსებითად ნაკლები იყო 2023 წელთან შედარებით, რაც პირდაპირ აისახება შემოსავლის მოცულობაზე.

წინა წელთან შედარებით საიჯარო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია 44%-ით, რაც უმეტესწილად განპირობებულია მიმდინარე წელს იჯარის საფასურის გაზრდით. 2024 წელს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები შემცირდა 78 მილიონი ლარით. შემცირება ძირითადად გამოწვეულია 2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი მოცულობის საინვესტიციო და მშენებარე საინვესტიციო ქონების გაყიდვებით, რამაც განაპირობა ფულადი ნაკადების ზრდა აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდში. 2024 წელს ანალოგიური მასშტაბის ქონება არ გაყიდულა, რის გამოც ფულადი ნაკადების მოცულობა შემცირდა 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

2024 წლისთვის ჯგუფი უკვე ემსახურებოდა მის მიერ დასრულებულ 10 კომპლექსს. მოვლა-პატრონობის მიმართულების მარჟამ შეადგინა უარყოფითი 22% (2023 წ. უარყოფითი 16%), რაც უმეტესწილად განპირობებულია მოვლა-პატრონობის ხარჯების ზრდით.

2024 წელს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი ჯგუფისათვის იყო 1.11 (2023 წ.: 0.82), ხოლო ინდივიდუალურად კომპანიისთვის 0.08 (2023 წ.: 0.03). მიმდინარე კოეფიციენტის გაზრდა გამოწვეულია ობლიგაციების მოკლევადიანი ნაწილის შემცირებით.

კომპანიის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „მ2 ჯგუფში“ თავისი ინვესტიციის გაუფასურების ნიშნები არსებობდა, კერძოდ, მისი წმინდა აქტივები შემცირებული იყო ინვესტიციის დანახარჯზე ნაკლებ ღირებულებამდე. კომპანიამ 165,896 ლარის გაუფასურება აღიარა 2024 წლის მოგებაში ან ზარალში ამ ინვესტიციასთან მიმართებით (2023 წ.: 12,392 ლარი). შპს „მ2 ჯგუფში“ კომპანიის ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს უძრავი ქონების მართვის ჯგუფში“ თავისი ინვესტიციის ღირებულების ზრდის ნიშნები არსებობდა. კერძოდ, მისი წმინდა აქტივები გაზრდილი იყო 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 3 მილიონი ლარის ოდენობით, რაც მეტწილად განპირობებული იყო მიღებული სესხების ნაწილობრივი დაფარვით. კომპანიამ 2024 წლის მოგებაში ან ზარალში ამ ინვესტიციასთან მიმართებით შეიმცირა 2023 წლის მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ხარჯი 3,281 ლარის ოდენობით (2023 წ.: გაუფასურების ხარჯი 39 მილიონი ლარი).

სს „საქართველოს უძრავი ქონების“ 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ხარჯმა შეადგინა 241 ათასი ლარი.

2. კორპორაციული მართვის ანგარიში

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება (შემდგომში „საერთო კრება“). კომპანიის გენერალური დირექტორი (შემდგომში „გენერალური დირექტორი“), რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ინიშნება საერთო კრების მიერ.

კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს, როგორც რიგგარეშე კრება, გენერალური დირექტორის ან აქციონერის სახელით, რომელსაც კომპანიის 10%-ზე მეტი წილი აქვს. კომპანიის ყოველდღიური მართვა და წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს კომპანიის წესდების შესაბამისად. გენერალური დირექტორი კომპანიის საქმიანობას უძღვება გულმოდგინედ და ერთგულად, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს.

კომპანიის დირექტორთა საბჭო აღიარებს კორპორაციული მართვის ჯანსაღი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს. სს „საქართველოს უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 3 წევრი და 1 დამოუკიდებელი წევრი. კომპანიას მართავს გამოცდილი და კვალიფიციური დირექტორებისგან შემდგარი გუნდი, რომელთა იერარქია გადანაწილებულია შემდეგნაირად: გენერალურ დირექტორს ექვემდებარება 7 სხვადასხვა მიმართულების დირექტორი. კომპანია მკაცრად იცავს დივერსიფიკაციის პოლიტიკას. 8 დირექტორიდან 4 ქალია და მათი ასაკი 32-დან 51 წლამდე მერყეობს. ეს პოლიტიკა თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი უნარები და დაწინაურდნენ ასაკისა და სქესის განურჩევლად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ აქციონერთა საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭო თავისი წევრებისგან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს კომპანიის წესდების შესაბამისად. არსებულ წესდებაში ცვლილებების შეტანას ამტკიცებენ აქციონერები საერთო კრებაზე.

კომპანიის გენერალური დირექტორი აწარმოებს და ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს თავმჯდომარესა და საბჭოს წევრებს, აცნობებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება/წარადგენს საბჭოს სხდომაზე. დირექტორების მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია აქციონერების მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომპანია მხარს უჭერს ქვეყნის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს მშობელი კომპანიის ქვეყნის, კორპორაციული მართვის და ეთიკის კოდექსს. ამრიგად, ჩვენ მზად ვართ ვიმოქმედოთ სამართლიანად ჩვენს მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან და შექმნას და წახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო. კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლების შერჩევას და დანიშვნას დამსახურებისა და ბიზნესის ობიექტური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეალური ან აღქმული ფავორიტიზმი. გარდა ამისა, კომპანია იცავს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს და უარს ამბობს კონკურენტებთან პირის შეკვრაზე ან უკანონო შეთანხმებაზე.

რისკის მართვა

საბჭო და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვასა და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავეწიროთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, მშობელი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს, და სადაც ბიზნესის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესებზე. ამრიგად, ვიცავთ საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ მითითებებს და პოლიტიკას.

კომპანიას შექმნილი აქვს შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ოპერაციების, საქმიანობის, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ მიმოხილვაზე/აუდიტზე, რათა შეაფასოს და უზრუნველყოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური რწმუნება და საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც შექმნილია კომპანიის ოპერაციებისთვის ღირებულების დამატებისა და გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილება დამოუკიდებელია დირექტორთა საბჭოსგან. კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მშობელი კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც ასევე დამოუკიდებელია მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსგან და, თავის მხრივ, უშუალოდ მშობელი კომპანიის აუდიტის კომიტეტის წინაშე არის ანგარიშვალდებული.

გარდა ამისა, ყოველთვიური საანგარიშო პაკეტების მომზადება ხდება კომპანიის ანგარიშგების გუნდის მიერ, რომელსაც შემდეგ გადახედავს ფინანსური ანგარიშგების ჯგუფის ხელმძღვანელი, ფინანსური დირექტორის მოადგილე და ფინანსური დირექტორი. ფინანსურ შედეგებს და ანგარიშგების პროცესს მშობელი კომპანია ყოველთვიურად აკონტროლებს. ძირითად ცვლილებებს და ბიუჯეტიდან გადახრებს ანალიზებენ მშობელი კომპანიის ანალიტიკოსები და ფინანსური განყოფილების უფროსი.

ქვემოთ ჩამოთვლილია კომპანიის მთავარი პოტენციური რისკები და მათ შესამცირებლად შესაბამისი რეაგირება:

სამთავრობო უწყებებიდან მშენებლობის ნებართვის მოპოვების შეუძლებლობა ან მნიშვნელოვანი შეფერხება მათი მოპოვებისას - კომპანიას ცალკე განყოფილება აქვს, რომელიც პასუხისმგებელია ნებართვებზე, ლიცენზიებსა და იურიდიულ მხარდაჭერაზე. განყოფილების ძირითადი მიზნებია, მიიღოს კომპანიის მიერ ნებართვის მიღების პროცედურები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მინიმუმამდე დაიყვანოს ნებართვის მოუპოვებლობის შანსი. განყოფილებას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელსაც აქვს საჯარო სექტორში, კერძოდ, თბილისის მერიაში მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად კარგად იცნობს ყველა საჭირო პროცედურას, მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის წესის ჩათვლით.

3. არაფინანსური ანგარიშგება

კომპანია მუდმივად ცდილობს, შექმნას სოციალურად ორიენტირებული პროდუქტები და მომსახურება, პასუხისმგებლობით მიუდგეს ბიზნეს ოპერაციებს და განახორციელოს სპონსორობა და საქველმოქმედო საქმიანობა.

საცხოვრებელი უძრავი ქონება ხელმისაწვდომ ფასად

დღესდღეობით სს „საქართველოს უძრავი ქონება“, თავისი საფირმო სახელწოდებით „მ²“, საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის მთავარი მონაწილეა და მომხმარებელს სთავაზობს ბინების ჩაბარებას გამართული ინფრასტრუქტურით. მ²-ს 17 პროექტი აქვს დასრულებული და მომხმარებლებისთვის ჩაბარებული. კომპანია გეგმავს პროექტირებისა და მშენებლობის პროცესებს ისე, რომ თითოეული კვადრატული მეტრი ეფექტურად განაწილდეს. კომპანია იყენებს ენერგოეფექტურ სამშენებლო ნაწილებს, რაც მისი შენობების ენერგოეფექტურობას 43%-მდე ზრდის, ეს კი ამცირებს მობინადრეების კომუნალურ ხარჯებს. ენერგიის დაზოგვის დონე მ²-ის შენობებში მნიშვნელოვნად აღემატება თბილისის საცხოვრებელი კორპუსის საშუალო მაჩვენებელს.

m² ყოველთვის სთავაზობს თავის მომხმარებელს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს „m² მთაწმინდის პარკთან“ პროექტის მშენებლობა ოქროყანაში, მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ახალი პროექტი მოიცავს 6 ხუთსართულიან შენობას, სხვადასხვა დაგეგმარების სახლებით, ეზოებით, ტერასებითა და დუპლექსებით. პროექტი გათვლილია მათთვის, ვისაც უფრო მეტ სიმწვანესა და სიმშვიდეს სურთ ცხოვრება, ვინც უპირატესობას ანიჭებს საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების სიჯანსაღესა და კეთილდღეობას.

შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება

შრომის ჰიგიენას და უსაფრთხოებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო ბიზნესში და ამიტომ, მშენებლობის პროცესში შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, m² რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და საგანმანათლებლო სემინარებს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის. გარდა ამისა, m² აქვეყნებს უსაფრთხოების შესახებ ბროშურებსა და ბუკლეტებს და სპეციალურ წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ობიექტებზე მუშაობისას. შესაბამისი კონტროლის პროცედურები მოიცავს კვარტალურ აუდიტებს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების გარედან მოწვეული კონსულტანტების მიერ და ყოველთვიურ შიდა ინსპექციებს m²-ის სამუშაო ობიექტებზე.

სოციალური პროდუქტები და ქველმოქმედება

2023 წელს კომპანიამ ჩამოაყალიბა ა(ა)იპ „ემკვადრატის ზრუნვის ფონდი“. ფონდში გაწევრიანება და თანხის შეტანა ნებაყოფლობითია m²-ის თანამშრომლებისთვის. ფონდი ემსახურება კომპანიის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების დაფინანსებას ჯანმრთელობის პრობლემების დადგომის შემთხვევაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას გარემოზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედება აქვს. კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში ასახულია მისი მიდგომა ამ საკითხებისადმი. გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება საცხოვრებელი უძრავი ქონების მშენებლობის განუყოფელი ნაწილია. m² ქმნის ეკოლოგიურ პროდუქტებს, ვინაიდან აცნობიერებს იმას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შენობების ენერგოეფექტურ დიზაინს მდგრადი განვითარებისთვის და მისი ახალი შენობები ენერგიის გრძელვადიანი დაზოგვის საშუალებას იძლევა. m² ამცირებს ნარჩენების წარმოქმნას და დაბინძურებას ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას.

ენერგიის, წყლისა და მასალების უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, m² ამონტაჟებს ენერგოეფექტურ განათების სისტემებს და იყენებს შემცირებული ემისიების ფანჯრის მინებს და სხვა თანამედროვე საიზოლაციო მასალებს შენობების ფასადების დასაფარად.

m² იყო სტარტაპ კომპანია E-space-ის გენერალური პარტნიორი და აფინანსებს ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ყვარელი და თელავი) ელექტრული სატრანსპორტო საშუალებების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას „მეტი ჟანგბადი ქალაქს“ კამპანიის ფარგლებში, რომლის მიზანია ელექტროავტომობილის 100 დამტენის დამონტაჟება საქართველოში. ელექტროავტომობილის დამტენები ეტაპობრივად მონტაჟდება თითოეულ საცხოვრებელ კომპლექსში და საჩუქრად გადაეცემა მაცხოვრებლებს.

გენდერული მრავალფეროვნება

კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, მომხმარებლის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

ადამიანის უფლებათა პოლიტიკა

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა კომპანიაში დასაქმებულთათვის განკუთვნილი პაკეტის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და განახლებების მიწოდება ელექტრონულად ხდება. ადამიანის უფლებათა პოლიტიკა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ▶ თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აღკვეთა;
- ▶ შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო;
- ▶ საჩივრების პოლიტიკა.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი შიდა პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი შიდა პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურებს და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურებს, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიულ განვითარებასთან და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

მშობელ კომპანიას აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც ასევე ვრცელდება სს „საქართველოს უძრავ ქონებაზე“. ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის დანერგვა გულისხმობს შემდეგს:

- ▶ შიდა ინფორმირების და ცხელი ხაზის სისტემის ამუშავება;
- ▶ საჩუქრების ან სხვა სარგებლის გამჟღავნება, ჯგუფის თანამშრომლების მიერ გაწეული ან მიღებული მასპინძლობის ჩათვლით;
- ▶ კორუმპირებული ქცევის ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
- ▶ მესამე მხარის შემოწმება მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკების დასადგენად;
- ▶ ბანკების/პარტნიორების/კონტრაგენტების ინფორმირება ანტიკორუფციულ და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ, მათთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო მუხლებს;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ პარტნიორებთან/კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო საკითხებს;
- ▶ ონლაინ ტრენინგების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და მექრთამეობის საკითხებზე.

მშობელი კომპანიის ეთიკის კოდექსის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე:

<https://georgiacapital.ge/sites/default/files/2020-10/Code%20of%20Conduct%20and%20Ethics.pdf>

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ:

გენერალური დირექტორი

2025 წლის 1 მაისი



გურამ ახვლედიანი



საქართველოს უძრავი ქონება
GEORGIA REAL ESTATE

პასუხისმგებელი პირების განცხადება

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სს საქართველოს უძრავი ქონების მიერ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის წარმოდგენილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ანგარიშგებების წარმოდგენით, სს საქართველოს უძრავი ქონების მიერ სრულად შესრულდა 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ობლიგაციების (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი: (ISIN): GE2700604848, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: GE 07/08/2024) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ მიმართ „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებები - აუდირებული წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით, სს საქართველოს უძრავი ქონების გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში, ვადასტურებთ, რომ სს საქართველოს უძრავი ქონების მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება (2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის) არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადება გაცემულია საჭიროებისამებრ წარსადგენად.

ხელმოწერები:

სს საქართველოს უძრავი ქონება

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ავთანდილ ნამიჩიშვილი

/ 

სს საქართველოს უძრავი ქონების

გენერალური დირექტორი

გურამ ახვლედიანი

/  

თარიღი: 25.04.2025

საქართველო, თბილისი, 0177, გ. კარტოზიას ქ.10
10 G. Kartozia str., 0177, Tbilisi, Georgia
+(995 32) 2 444 111 | info@m2.ge | www.m2.ge
სს „საქართველოს უძრავი ქონება“
JSC „m2 Real Estate“
ს/კ 204517399 I/D

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია

„კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის“

შესახებ, არ არის აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

Application
on submitting Corporate Governance Compliance Report

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)

0 8
/
0 5
/
2 0 2 5

1. ინფორმაცია გამომცემის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

გამომცემის სახელწოდება/Issuer's Name	სს "საქართველოს უძრავი ქონება"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
ოფისიური მისამართი/Legal Address	საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქუჩა, N10, კომერციული ფართი N13, სადარბაზო 6, სართული 0
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქუჩა, N10, კომერციული ფართი N13, სადარბაზო 6, სართული 0
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(032) 2 444 111
ელ.ფოსტა/E-mail	info@m2.ge
ვებ-გვერდი/Web Site	www.gre.ge / www.m2.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDICES



განაცხადის ფორმასთან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

დანართი N2: კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, ასლი ერთი, გვერდების რაოდენობა 8.

დანართი N3: დამატებითი წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, ასლი ერთი, გვერდების რაოდენობა 2.

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

ავთანდილ ნამიჩიშვილი	გურამ აბულაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი
პნ: 01026007516	პნ: 01033000211
ტელ: 599167372	ტელ: 595049911

0 8
/
0 5
/
2 0 2 5



დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მოთხოვნა წლიური ანგარიშში გამდგენარეულ შესაბამის ანგარიშსწავლაზე (ტენდენცია/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაციის, რომელიც დასაბუთებს განმარტვრულ კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორია საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი		საწარმოს წესდება	დირექტორია საბჭო არაა, ამის ნაცვლად გენერალური დირექტორი ახორციელებს პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორია საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	ალტერნატივა			ამ ეტაპზე საწარმოს არ გააწარმა წერილობითი ეთიკის კოდექსი, თუმცა საწარმო საქმიანობის, აქტიურების მიერ დადგენილი ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, თავის შიდა აქტიურების დამტკიცებული აქტს ეთიკის კოდექსი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	ასაწარმოს უნდა გაანადგოს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც.	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დასაწარმოს უნდა გაანადგოს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "და" ქვეპუნქტი)	ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დბ" ქვეპუნქტი)	ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დგ" ქვეპუნქტი)	გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოებრივების შესაბამისად;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გაანადგოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტი (დებულებები, რომელიც განაწილებს კომიტეტის მანდატს, საწარმოს მმართველობები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შესრულებების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი		კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გაანადგოს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არაერთ სარგებლობს შესრულდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესებს, შესაბამის მიღა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სადარბაზო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანგარიშების პოლიტიკასა და პროცედურებს.			საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს წესისმიერი წერიტ უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მმართველის სამეთვალყურეო საბჭოს.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საკმარის ხელმისაწვდომი.	ალტერნატივა			საწარმოს წესდება ხელმისაწვდომია საწარმოო რეგისტრის საიტზე, კომიტეტის დებულება ზიარდება თანამშრომელთან მოთხოვნის შემთხვევაში.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა, მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	ალტერნატივა			საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემის კოდექსთან შესაბამისობაში სრულყოფილად მოყვანა არის საწარმოს ერთ-ერთი გაგზავნილი მიზანი, რასთან დაკავშირებითაც საწარმოს შესაბამისი სამსახურები აქტიურად თანამშრომლებს (მათ შორის, შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მოსამუშაოდ)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გაანადგოს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალადუღების ბირთვად გამოცემების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათვითცებისა და სხვა კანონისწინააღმდეგე ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქტიურების/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მათი გამოვლენის პროცედურებს;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, სარეზერვოს თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებას და მიღებას;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქმედებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოვლენების პროცედურებს;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტიურების მონაზივრი გამოვლენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) პრიონიში მოღვაწის ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დირექტორებზე მართვის შესრულებით უკანონო/შეუსაბამიარყოფი ფაქტების აღმოფხვრელობა-არაობა, ავთოლა-არაი და მისი/არაი/არაი და არასათანადო მოპოვება;	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმაციულად და ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:			საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვა;	კი			

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტიანი გადამწყვეტილების მიღების პროცესი;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოსიროს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დამტკიცონ საწარმოს კოველწლური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კი				დირექტორთა საბჭო არა, ამის ნაცვლად გენერალური დირექტორი ახორციელებს პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის და შეფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იზღუდონ საწარმოს ინფორმაციას, მათ შორის გამარჯვებულსა და წრეშეუბნის იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიას და რისკების მართვის ჩარჩოს;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმომ შრომის ანაზღაურების, სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოთან შესაბამისობას;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს;	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქტივობების მარტინორებისა და სხვა დამატებითი მართვის საბჭოს ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქტივობებთან/მარტინორებთან და დამატებითი მარტინორებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კი				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხედავდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განსახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განსახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახორციელებელ, მნიშვნელოვანი რისკების, ამ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მართია, რომლებზე გაუმჯობესების სპირიტებს. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდგომარეობა უნდა ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებზეც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებზეც მათი არ დაუტოვს მიღებულ გადაწყვეტილებას.	კი	შესაბამისი გადაწყვეტილებები			შეიღო აუდიტის კომიტეტი ცეკვის, რომლსაც ხედავს საბჭოს წევრები, ასევე მენეჯმენტთან ხდება განხილვა პერიოდული შედეგების და სხვა კრიტიკული საკითხების ჯერ. დირექტორთა საბჭო არა, ამის ნაცვლად გენერალური დირექტორი ახორციელებს პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიური ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგომარეობა განვითარების, გარემოსდაცვითი,სოციალურ და მმართველობის საკითხებს.	ალტერნატივა				ამ ეტაპისათვის სამეთვალყურეო საბჭო არ აწარმოებს ოფიციალურ წერილობით დოკუმენტს ფინანსური წლის განმავლობაში საქმიანობის შეფასების შესახებ. მდგომარეობა მისიანების მოხსენების სამეთვალყურეო საბჭო წარადგენს ზეპირად წლიური ანგარიშის მოხსენის დროს. საწარმო განიხილავს წლიური ანგარიშის სამომავლო წარდგენას წერილობითი ფორმით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წესამდეს, მერს არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, კერძოდ, აკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შესაბამისა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუტეკეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მაინცდოს შესაბამისი ინფორმაცია.	კი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეზუმე/ბიოგრაფიის აწარმოებული ინფორმაცია			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.	კი	საწარმოს წესდება			და ამონაწერი სამწარმო რეგისტრაციდან
